

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030417256164314

04-209/ო

07 / ივლისი / 2014 წ.

„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განცხადების ფორმისა და ბენეფიციართა რეეტრის ფორმირების ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 27 მაისის N04-156/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის N262 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 ივნისის N418 დადგენილებით შესული ცვლილების გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განცხადების ფორმისა და ბენეფიციართა რეეტრის ფორმირების ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 27 მაისის N04-156/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ბრძანების მე-2 პუნქტის:

ა) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) შესაბამისმა ტერიტორიულმა ერთეულებმა (რაიონული განყოფილებები და სოციალური მომსახურების ცენტრები), მოქალაქის მიერ შევსებული განცხადებები, სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით შექმნილ/არსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (შემდგომში - „მონაცემთა ბაზა“) უნდა განათავსონ არაუგვიანეს მომართვის მომდევნო თვის 4 (ოთხი) რიცხვამდე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად მონაცემთა ბაზაში განთავსებული იმ განცხადებების საფუძველზე, რომლებიც აკმაყოფილებს სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის პირობებს, აგრეთვე მონაცემთა ბაზაში უკვე არსებული სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ოჯახების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს წინასწარი რეესტრ(ებ)ის ამობეჭდვას, არაუგვიანეს ყოველი თვის 6 (ექვსი) რიცხვამდე;“;

ბ) „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის უფლებამოსილი პირ(ებ)ი (უფროსი სოციალური აგენტი ან სოციალური აგენტი) ვალდებულია, წინასწარი რეესტრების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ამავე რეესტრით გათვალისწინებული ოჯახის მისამართზე ვიზიტის დროს, დაადასტუროს ოჯახის ფაქტობრივი ცხოვრება წინასწარ რეესტრში მითითებულ მისამართზე;

ე) იმ ოჯახებზე/პირებზე, რომლებზეც წინასწარ რეესტრში მითითებულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრება არ იქნება დადასტურებული, თანხის გადარიცხვა შეჩერდება, რაც აისახება მონაცემთა ბაზაში შესაბამისი სტატუსით – „შეჩერებული“;

ვ) უფლებამოსილი პირის (უფროსი სოციალური აგენტი ან სოციალური აგენტი) მიერ შევსებული წინასწარი რეესტრები მონაცემთა ბაზაში უნდა განთავსდეს შევსებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში;“;

გ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) იმ ოჯახების მონაცემები, რომელთა ფაქტობრივი ცხოვრება დადასტურდება წინასწარ რეესტრში მითითებულ მისამართზე, აისახება მონაცემთა ბაზაში, რის საფუძველზეც ფორმირდება საანგარიშო თვის ფულადი დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რეესტრი. ფულადი დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რეესტრის ფორმირება ხორციელდება არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო სამუშაო კვირის განმავლობაში;“.

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს:

ა) დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მეშვეობით, წინამდებარე ბრძანების დაგზავნა სააგენტოს ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის;

ბ) წინამდებარე ბრძანების და მისი დანართის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელისმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



გაიოზ თალაკვაძე

